საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-981

23/10/2020

ქ. თბილისი

**მარტვილის მუნიციპალიტეტში, შპს „მარტ-სტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის ბალასტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, მარტვილის მუნიციპალიტეტში, შპს „მარტ-სტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის დასკვნა №84 (12.10.2020);
2. შპს „მარტ-სტოუნი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №84 (12.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მარტ-სტოუნს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარტ-სტოუნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი